ძვირფასო კოლეგებო!

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ **EESC FETP-Intermediate (საველე ეპიდემიოლოგიის სასწავლო პროგრამა აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასის ქვეყნებისთვის)** პროგრამა დაიწყება 2023 წლის იანვარში და მასში მონაწილეობას მიიღებენ რეზიდენტები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან და უკრაინიდან.

რეზიდენტების შერჩევის კრიტერიუმები

1. აუცილებელი მოთხოვნა - უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დიპლომი საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიისა და ზოგადი ჰიგიენის, მედიცინის ან ვეტერინარიის მიმართულებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლესი ხარისხი წარმოადგტენს უპირატესობას.
2. მიმდინარე პერიოდში სრულ განაკვეთზე მუშაობა და მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სახელმწიფო ან კერძო სექტორში, მათ შორის ჯანდაცვის სამინისტროსთან ან სოფლის მეურნეობის/სურსათის უვნებლობის სამინისტროსთან დაკავშირებულ სექტორებში. უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომელთა პასუხისმგებლობაში შედის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, მაგალითად: ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა (გადამდები და არაგადამდები დაავადებები), ეპიდემიოლოგიური გამოძიება, დაავადების კონტროლის პროგრამების შეფასება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების ეფექტურობის შეფასება, და ა.შ.
3. რუსული ენის თავისუფლად ცოდნა აუცილებელია, სასურველია ინგლისური ენის საშუალო დონე. ინგლისური ენის თავისუფლად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.
4. კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საბაზისო უნარები
5. კანდიდატებმა უნდა გამოხატონ მზაობა გააგრძელონ მუშაობა სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაში პროგრამის დასრულებიდან მინიმუმ 2 წლის განმავლობაში.
6. პროგრამის დასრულების შემდეგ შესძლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუშაობა მინიმუმ 15 წლის განმავლობაში.

რეზიდენტების შერჩევის პროცესი

1. კანდიდატებმა უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, უზრუნველყონ დამადასტურებელი დოკუმენტები. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ოქტომბერი
2. განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.surveymonkey.com/r/FETP_I_Application
3. კანდიდატმა უნდა ატვირთოს შემდეგი საბუთები:
4. რეზიუმე (CV)
5. პროფესიული ლიცენზიის და აკადემიური ხარისხის დადასტურება

- ორი სარეკომენდაციო წერილი იმ პირებისგან, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კანდიდატების პროფესიულ კარიერასთან ან/და იმ ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისგან, სადაც მუშაობენ კანდიდატები
- ერთ-ერთი ასეთი სარეკომენდაციო წერილი აუცილებლად უნდა იყოს კანდიდატის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ან სტრუქტურული განყოფილების ხელმძღვანელისგან, სადაც დასაქმებულია ეს კანდიდატი, რომელიც უზრუნველყოფს მისი განაცხადის მხარდაჭერას და საშუალებას მისცემს პროგრამაში აქტიურ მონაწილეობას, ასევე იმის გარანტიას, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კანდიდატს შეეძლება იმუშაოს მინიმუმ ორი წელი იმ ორგანოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში, რომელმაც ის სასწავლო კურსზე დასასწრებად გააგზავნა.
- ხელმძღვანელის თანხმობა იმაზე, რომ მონაწილეთათვის ხელმისაწვდომი იქმება ეპიდზედამხედველობის მონაცემები და დრო პროგრამის აუცილებელ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.
- სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 1 გვერდისა/800 სიტყვა) FETP-ში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
- რა არის თქვენი მოტივაცია, რომ მონაწილეობა მიიღოთ პროგრამაში?
- როგორ მოგამზადათ და წაგაქეზათ თქვენმა განათლებამ და პროფესიულმა გამოცდილებამ იმაში, მონაწილეობა მიიღოთ FETP პროგრამაში?
- რის მიღწევას ისურვებდით FETP-ის სასწავლო პროგრამის დამთავრების შემდეგ?
- როგორია თქვენი პროფესიული მიზნები და ხედვა უახლოეს წლებში თქვენი კარიერული განვითარების შესახებ?

რეზიდენტების შერჩევის ვადები

1. განაცხადის მიღების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით

2. გასაუბრებსათვის შერჩეული კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან პირადად ან ტელეფონით არაუგვიანეს 2022 წლის 4 ნოემბრისა
3. კანდიდატებს შესთავაზებენ წერილობით ონლაინ ტესტირებას ენის ცოდნაზე (რუსული/ინგლისური) 2022 წლის 7-9 ნოემბრის პერიოდში
4. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდება 2022 წლის 10-17 ნოემბერს.
5. გასაუბრების შედეგების მიხედვით შერჩეულ კანდიდატებს შესთავაზებენ მისაღებ პროფესიულ ტესტს საბაზისო ეპიდემიოლოგიის სფეროში ცოდნის შესაფასებლად. მისაღები ტესტის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი საათია.
6. საბოლოო შერჩევა მოხდება რეზიუმესა და კანდიდატებთან გასაუბრების და ენისა და პროფესიული ტესტების შედეგების საფუძველზე 2022 წლის 23 ნოებრამდე
7. მიღების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ოფიციალურ წერილთ და ელექტრონული ფოსტით 2022 წლის 5 დეკემბრამდე.

სემინარებზე მოგზაურობისა და განთავსების ყველა ხარჯი იქნება კოორდინირებული და დაფარული EESC FETP-I პროგრამის სახსრებიდან.